ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის შესწავლისათვის ქართულში

ელენე ფილაშვილი
ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თელავი, საქართველო
E-mail: elene.pilashvili@tesau.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.40

ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი საკითხის შესწავლა რიგ სირთულეებს უკავშირდება. სირთულეს ქმნის „მონოტაქსური“ და „პარატაქსული კონსტრუქციის“ შესწავლა უმაღლეს სასწავლებლებში. მონოტაქსურ კონსტრუქცი-აში ვაერთიანებთ მარტივ და ერთგვარწევრებიან წინადადებებს (გარდა ერთგვარ-შემასმენლებიანი შერწყმული წინადადებისა), ხოლო პარატაქსულ კონსტრუქციაში ვაერთიანებთ ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ და რთულ თანწყობილ წინადადებებს.

სტუდენტი გრამატიკული სახელმძღვანელოებით უკვე იცნობს მარტივ, შერწყმულ და რთულ წინადადებებს, თუმცა მისთვის ტერმინები „მონოპრე-დიკატული კონსტრუქცია“ და „პოლიპრედიკატული კონსტრუქცია“ ახალია.

აღმინშნული კონსტრუქციის რაობის გაცნობისას საგანგებოდ უნდა გაირკვეს ცნება **„მონოპრედიკატული“** და **„პოლიპრედიკატული“.** ერთმანეთს შეუპირის-პირდეს სათანადო მაგალითები და შედარების ხერხით იქნეს შესწავლილი ამ ორი კონსტრუქციის წინადადება.

სტუდენტს უნდა შევახსნოთ ზმნა-შემასმენელი და წინდადების სტრუქტურა, განვუმარტოთ, რომ შემასმენელი წინადადების ძირითადი წევრია, რომელიც უმთავრესად ზმნის პირიანი ფორმით გადმოიცემა. „ზმნა-შემასმენელი წინადადების ხერხემალია“ [კვაჭაძე, 1996, 118]. შემასმენლის გარშემო ლაგდება წინადადების სხვა მთავარი თუ არამთავარი წევრები.

„ზმნა მდიდარია გრამატიკული კატეგორიებით და ამის გამო ერთდროულად მრავალ ცნებას გამოხატავს. შემასმენელიც ისეთივე მდიდარი შინაარსის, ე. ი. მრავალი ცნების გამომხატველია, როგორც თვით ის ზმნა, რომლითაც შემასმენელია გადმოცემული“ [კვაჭაძე, 1996, 72]. მარტივი წინადადების სტრუქტურა, მისი ყალიბი ზმნის ფორმაშია მოცემული: ზმნის ფორმა განსაზღვრავს საყრდენ ანუ მთავარ წევრთა რაოდენობას წინადადებაში. ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებულია სუბიექტურ და ობიეტურ პირთა ფარდი სახელები, წინადადების მთავარი წევრები (ქვემდებარე, ირიბი დამატება, პირდაპირი დამატება), შემასმენელსვე უკავშირდება წინადადების არამთავარი წევრებიც - უბრალო დამატება და გარემოება. მიეცეს განმარტება, რომ ზმნა-შემასმენელი სიტყვათა შეკავშირების თვალსაზრისით შეუდარებელია. „ის ცალკე აღებულიც წინადადებაა, მაშასადამე, შემასმენელი არა მარტო ერთ-ერთი მთავარი წევრია წინადადებისა, არამედ სხვა მთავარ წევრთა შემცველიც“ [კვაჭაძე, 1996, 72].

სტუდენტს გავაცნოთ არნ. ჩიქობავას დებულება, რომელიც განხილულია ნარკვევში ,,მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“. ავტორმა ძველი ქართულის მასალის ანალიზით გვიჩვენა, რომ:

1. ქართული წინადადების სინტაქსური მექანიზმი ხასიათდება რიგი თავისებურებით, რაც არსებითად განასხვავებს მას ევროპის ძველ და ახალ ენათა წინადადების სინტაქსური მექანიზმისგან.

2. ამ სინტაქსურ თავისებურებათა წყაროა მორფოლოგიური თავისებურება. ზმნაში სუბიექტის პირისა და რიცხვის გარდა ობიექტის პირის და რიცხვის აღნიშვნაც, რის გამოც:

3. ორპირიან ზმნებში გარდამავალშიცა და გარდაუვალშიც, სუბიექტი და ობიექტი არსებითად ერთიანი სინტაქსური უფლებით სარგებლობს: სუბიექტის სინტაქსური ძალა განელებულია, ობიექტისა-გაძლიერებული, და ამის შემდეგ სინ-ტაქსური დაპირისპირება სუბიექტისა (ქვემდებარისა) და ობიექტისა (დამატებისა) მოხსნილია, დამატება ქვემდებარეს ეტოლება... დამატება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი კი არაა, არამედ ისეთივე ,,მთავარი" წევრია, როგორიც ქვემდაბარე[(ჩიქობავა, 1968, 269].

მკვლევარი აქვე მიუთითებს: ,,ახალ ქართულში წინადადების სინტაქსური მექანიზმის სქემატურმა ანალიზმა ცხადყო, რომ სიტყვათა სინტაქსური ურთიერ-თობის პრინციპი არ შეცვლილა, არც შეიძლებოდა შეცვლილიყო, რამდენადაც დაგვრჩა წინანდელი მორფოლოგიური საფუძველი: ზმნის პოლიპერსონალურობა" [ჩიქობავა, 1968, 269].

სტუდენტს განემარტება, რომ წინადადების ასაგებად მთავარია ზმნა-შემასმენელი, მისი სინტაქსური ძალა უძლიერესია, რაც გამოარჩევს მას წინადა-დების სხვა წევრებისგან. არნ. ჩიქობავას დებულებაზე დაყრდნობით ქართული წინადადების სტრუქტურა-მექანიზმს განსაზღვრავს ზმნა. ქართული ზმნა-შემასმენელი წინადადების ეკვივალენტია. ფაქტობრივად „ზმნა არის წინადადება მინიატურაში" [ენუქიძე, 1987, 125]. „ის ცალკე აღებულიც წინადადებაა. მ. შ. შემასმენელი არა მარტო ერთ-ერთი მთავარი წევრია წინადადებისა, არამედ სხვა მთავარ წევრთა შემცველიც" [კვაჭაძე, 1996, 72].

„კონსტრუქციის შექმნის აუცილებელ პირობას, მის ღერძს წარმოადგენს ზმნა-შემასმენელი" [დავითიანი, 1973, 313]. ამდენად ქართული ზმნა-შემასმენელი მხოლოდ მთავარი ან ძირითადი წევრი კი არაა, არამედ წინადადებაა. ზმნა-შემასმე-ნელი და წინადადება იდენტური ცნებებია, იდენტური სინტაქსური ერთეულებია.

სტუდენტებს შევახსენებთ, რომ „სიტყვათა დალაგებისათვის წამყვანია შემასმენლის პოზიცია" [კვაჭაძე, 1996, 250]. უმოკლესი წინადადებების მუდნივი წევრი კი შემასმენელია. ამ უპირატესობის გამო სხვა წევრთა პოზიციებიც შემასმენლის პოზიციიდან უნდა იქნეს განხილული.

ტრადიციულად წინადადება აგებულების მიხედვით არის მარტივი, შერწყმული და რთული. ეს უკანასკნელი ორი სახისაა: თანწყობილი და ქვეწყობილი. სამივე სახის წინადადების ძირითადი წევრია და ამავდროულად მაორგანიზებელი ცენტრია ზმნა-შემასმენელი, რომელიც განსაზღვრავს წინადადების სტრუქტურას და კონსტრუქციას. აღნიშნული საკითხის სწავლებისას სტუდენტს შევახსენებთ, რომ ქართულში შემასმენელს უკავშირდება პრედიკა-ტულობა. იგი აუცილებელი პირობაა წინადადების ასაგებად. პრედიკაცია დებს მიჯნას მარტივსა და რთულ წინადადებებს შორის. მარტივი წინადადებისათვის დამახასიათებელის ერთი პრედიკატული ერთეული (მონოპრედიკატულობა, მონოსტრუქტურა), ხოლო რთულში გვაქვს ორი ან მეტი პრედიკატული ერთეული (პოლიპრედიკატულობა, პოლისტრუქტურა)" [დავითიანი, 1973, 171].

ამ დებულებიდან გამომდინარე, შერწყმული წინადადების ტიპები (ერთგვარშემასმენლიანის გარდა), სტრუქტურულად მარტივია, რადგან მათთვისაც დამახასიათებელია მონოპრედიკატულობა. შემასმენლის გარშემო რამდენი ქვემდებარე, რამდენი დამატება, განსაზღვრება თუ გარემოებაც უნდა გვქონდეს, ვერ შეცვლის მის აგებულებას. წინადადების აგებულების ცვლა შეუძლია მხოლოდ ზმნა-შემასმენელს, რომელიც ქმნის პარატაქსულსა და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებს.

„ტერმინები: **„მარტივი წინადადება", „რთული წინადადება"** სათანადოდ ვერ ასახავს ამ სინტაქსურ ერთეულთა სტრუქტურულ არსს". ფაქტობრივად თავისი სტრუქტურით ე.წ. „მარტივი წინადადება" უაღრესად რთულია; მით უმეტეს, ეს ითქმის ქართულ წინადადებაზე. „რთული" კი შედგება „უაღრესად რთული მარტი-ვი წინადადებებისაგან".

ამიტომაც წინადადებათა დაყოფა „მარტივ“ და „რთულ“ სინტაქსურ ერთეულებად გაუმართებლად მიგვაჩნია. მაშასადამე, აგებულების მიხედვით გვექნება არა „მარტივი“ და „რთული“, არამედ მონოპრედიკატული და პოლიპრედიკატული წინადადებები. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ორი სახისაა: პარატაქსული და ჰიპოტაქსური“ [ჭიკაძე, 1995, 168].

მონოპრედიკატული ე.წ. შერწყმული წინადადების სტრუქტურა მარტივი წინადადების ტოლფასია, ამიტომ ასეთი სახის კონსტრუქცია ჩვენ მარტივი წინადადების ერთ-ერთ სახეობად მიგვაჩნია, ხოლო პოლიპრედიკატული _ პარატაქსულისა.

სტუდენტს შედარება-შეპირისპირების ხერხით მაგალითებზე დაყრდნობით ვუჩვენოთ სათანადო კონსტრუქციის წინადადებები და მათი ანალიზით განემარტოს, რომ წინადადება აგებულების მიხედვით შემდეგნაირად უნდა დაიყოს:

1. მონოპრედიკატული:

მზე გადაიხარა (ჭავჭავაძე 1985: 2); შემოვიდა მღვდელი (წერეთელი 1989: 120);მოურავი შემოუძღვა ახალგაზრდა კაცს (წერეთელი 1989: 36); ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კანკალი დაიწყეს (ვაჟა-ფშაველა 1964: 5); დაგვრჩა ბუხარი მე და ბერუას (ვაჟა-ფშაველა 1964: 66); დალოცა ღმერთმა იმისი გზა და კვალი (ჭავჭავაძე 1985: 212); ამისი შავი და ღრმა თვალები მკვახედ გამოიყურებოდნენ (ჭავჭავაძე 1985: 222); შვილი დინჯად, ჭკვიანად ყურს უგდებდა დედას (ვაჟა-ფშაველა 1964: 94).

2. პოლიპრედიკატული:

ა) პარატაქსული: ზაალი წამოვარდა და მიაშურა (წერეთელი 1989: 120); დაიყვირა ერისთავმა და გასწორდა (წერეთელი 1989: 120); შველი მიადგა ჭიშკარს და წივილი დაიწყო (წერეთელი 1989: 162); იმან თავი მაღლა აიღო და შემომხედა (ჭავჭავაძე 1985: 253); დასჩერებოდა სახეზე და ფიქრობდა (წერეთელი 1989: 161-162); დაიჭექა თოფმა დაბლა და მაღლა ქორმა შეიფრთქიალა (წერეთელი 1989: 135); შენ რაღაც ნაღველი გაქვს და მე მიმალავ (ჭავჭავაძე 1985: 248).

ბ) ჰიპოტაქსური: შენა გგონია, რომ გატყუებ (წერეთელი 1989: 166); ვინც შეიტყობს, რას მეტყვის (ჭავჭავაძე 1985: 205); დაარწმუნე ყველა, რომ ბაში-აჩუკი მოვკალი-თქო (წერეთელი 1989: 172); ხიდები სადაც იყო, დახვეტა (წერეთელი 1989: 123); როცა გიჭირს, მაშინ გემალება (ჭავჭავაძე 1985: 191); ეხლა რომ ჰნახოთ, გაჰკვირდებით (ვაჟა-ფშაველა 1964: 43); მეც ვიცი, ვინც ბრძანდებიან (წერეთელი 1989: 133); იმას ვიტყვი, რასაც მთელი ქვეყანა ამბობს (ჭავჭავაძე 1985: 204).

აღნიშნულ წინადადებათა ანალიზით სტუდენტისთვის გაკეთდეს დასკვნა, რომ წინადადების აგებულების კლასიფიკაცია ან **მონოპრედიკატულია** ან **პოლიპრედიკატული.**

მონოპრედიკატულია წინადადება, რომელშიც მონაწილეობს მხოლოდ ერთი ზმნა-შემასმენელი, მათ შორის ყველა ე.წ. შერწყმული წინადადება _ ერთგვარშემასმენლიანის გარდა.

პოლიპრედიკატულია წინადადება, რომელშიც მონაწილეობს რამდენიმე ზმნა-შემასმენელი. იგი ორი სახისაა **პარატაქსული** და **ჰიპოტაქსური.**

პარატაქსულში გვაქვს მაერთებელი კავშირებით (ან უკავშიროდ) თანწყობის საფუძველზე გაერთიანებული წინადადებები, მათ შორისაა ე.წ. ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადებაც, რომელიც თანწყობილი წინადადების ერთ-ერთ სახეობად წარმოგვიდგება.

ჰიპოტაქსურში გვაქვს მაქვემდებარებელი კავშირებით (ან უკავშიროდ) ქვეწყობის საფუძველზე გაერთიანებული წინადადებები.

წინადადებათა გაანალიზების საფუძველზე სტუდენტს გაეცნობა სპეციალურ ლიტერატურაში ჩამოყალიბებული წინადადების აგებულების სქემა:

„I. მონოპრედიკატული: მონოტაქსური ანუ ოდენწყობილი;

II. პოლიპრედიკატული: ა) პარატაქსული ანუ თანწყობილი;

ბ) ჰიპოტაქსური ანუ ქვეწყობილი [ჭიკაძე,1995, 170].

მკვლევარი აქვე განიხილავს: ,,წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვითაც შერწყმული წინადადება არ მოიაზრება დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად; ჩვენ სავსებით ვიზიარებთ საენათმეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ე.წ. შერწყმული წინადადება ან მარტივი წინადადების ერთ-ერთი სახეა, ანდა თანწყობილისა.

შერწყმულად მიჩნეული მონოპრედიკატული წინადადება სტრუქტურულად მარტივი წინადადების ტოლფასია, ხოლო პოლიპრედიკატული - პარატაქსულისა“ [ჭიკაძე, 2005, 121].

სტუდენტს უნდა განვუმარტოთ, რომ ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ და რთულ თანწყობილ წინადადებებს სტრუქტურულად ბევრი რამ აქვთ საერთო. ორივე სახის წინადადება იყენებს მაერთებელ კავშირებს, ამავე დროს იდენტურია მწკრივთა თანამიმდევრობის მოდელები კავშირების გათვალისწინებით. ამ მხრივ არსებითი სხვაობა არ შეინიშნება. აქვე ე. წ ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული წინადადების თანწყობილთან შედარებით გაირკვევა მათი სტრუქტურული ურთიერთმიმართებანი საკავშირებელი სიტყვებისა და შემადგენელ კომპონენტთა მიხედვით.

ამიტომაც ბუნებრივად დაისმის საკითხი ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული და რთული თანწყობილი წინადადების სტრუქტურული ურთიერთმიმართების შესახებ. ურთიერთობა უფრო მტკიცდება, როცა კომპონენტ ზმნა-შემასმენლებს აქვთ **საერთო, საზიარო სიტყვა (მისამართი წევრი),** რომელიც შეიძლება იყოს ერთი და იმავე, ან სხვადასხვა წევრის ფუნქციის მქონე. ის შემასმენელთან დაკავშირებულია როგორც სემანტიკურად, ისე გრამატიკულად. მისი როლი წინადადების ასაგებად მნიშვნელოვანია.

სტუდენტს სათანადო მაგალითებზე დაყრდნობით უნდა გენემარტოს **მისამართი წევრის** ფუნქცია. **საერთო წევრი** ანუ **მისამართი სიტყვა** შემასმენელთან დაკავშირებულია გრამატიკულად და სემანტიკურად. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ქვემდებარე, მხოლოდ ირიბი დამატება, მხოლოდ პირდაპირი დამატება, ან ერთდროულად: ქვემდებარე და ირიბი დამატება; ქვემდებარე და პირდაპირი დამატება; ქვემდებარე, ირიბი დამატება და პირდაპირი დამატება.

მისამართი წევრის როლი და ადგილი წინადადების აგებულების დადგენაში მნიშვნელოვანია. რადგან მისამართ წევრთა და ზმნა-შემასმენელთა ურთიერ-თობით დგინდება შერწყმულ და თანწყობილ წინადადებათა სტრუქტურული ურთიერთმიმართებანი.

ა) **შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევრია ოდენ ქვემდებარე:**

დათიკო ყოველ დილით სკოლაში **მიდიოდა,** სადილად შინ **მოვიდოდა,** სადილს-უკან **წავიდოდა,** ზარების დარეკვის დროს ისევ შინ **ბრუნდებოდა** (ჭავჭავაძე 1985: 196)



ბ) **შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევრია ოდენ ირიბი დამატება:**

აქ მეტის გულის ამოჯდომისაგან **საწყალს** ხმა **ჩაუწყდა,** სიტყვა **შაეკრა** და ენა **დაება** (ჭავჭავაძე 1985: 241)



გ) **შემასმენელთათვის საერთო მისამართი წერია ოდენ პირდაპირი დამატება:**

ან ბრაზიანმა ძაღლმა **არ დაგგლიჯოს,** ან გველმა **არ დაგკბინოსო** (წერეთელი 1989: 397)



დ) **შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევრთა ერთდროულად ქვემდებარე და ირიბი დამატება:**

ხმელი წიფლის ტოტები ამაყად **დედამიწას სცემდენ, ასკდებოდენ** (ვაჟა-ფშაველა 1964: 85)



ე) **შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევრია ერთდროულად ქვემდებარე და პირდაპირი დამატება:**

ცხენოსანმა მისი **ბედაური გააჭენ-გამოაჭენა** ჭალებში, **გაახურვა** და **წამოიყვანა** პირდაპირ მდინარისაკენ (წერეთელი 1989: 125)



ვ) **შემასმენელთათვის საერთო მისამართი წევრია ერთდროულად ქვემდებარე, ირიბი დამატება და პირდაპირი დამატება:**

ნინიამ დაახალა თოფი, მაგრამ **ააცდინა** (ვაჟა-ფშაველა 1964: 57)



ზემოთ განხილულ წინადადებებში ზმნა-შემასმენლებმა მისამართი ანუ საერთო წევრი მოითხოვა ერთ რომელიმე კონკრეტულ ბრუნვაში. თუმცა პარატაქსულ კონსტრუქციაში ერთმანეთის გვერდით გვხვდება სხვადასხვა გარდამავლობისა და გვარის ზმნა-შემასმენლები, რომელნიც სხვადასხვა ბრუნვაში მოითხოვენ ქვემდებარეს. ამ შემთხვევაშიც უნდა დაისვას მისამართი წევრის როლისა და ბრუნვის საკითხიც.

ლ. კვაჭაძე წერს: „თანწყობილი შემასმენლები ქვემდებარეს ერთსა და იმავე ან სხვადასხვა ბრუნვაში მოითხოვენ. როდესაც თანწყობილია რამდენიმე ისეთი შემასმენელი, რომლებიც ქვემდებარეს სხვადასხვა ბრუნვაში შეიწყობენ (გარდამავლობისა და სერიების მიხედვით), ქვემდებარე იმ ბრუნვაში დგას, რომელსაც მოითხოვს პირველი უახლოესი შემასმენელი“ [კვაჭაძე, 1997, 278].

ქვემდებარე ბრუნვაში ანგარიშს უწევს არა მხოლოდ უახლეს შემასმნელს, არამედ პარატაქსულ კონსტრუქციაში წარმოდგენილ ყველა ზმნა-შემასნმენელს ცალ-ცალკე. რითაც იქმნება სწორედ პარატაქსული კონსტრუქცია. ქვემდებარე ყოველთვის იმ ბრუნვაშია, რომელსაც მოითხოვს მისგან საურთიერთო მართვით დაკავშირებული ზმნა-შემასმენელი. ვნახოთ ეს პრედიკატული ცენტრების ფონზე:

უცებ **გაექანა** შურდულივით ახალგაზრდა, **შეუვარდა** ფეხებში, **გამოჰკრა** ორივე ხელი, ჯირკივით **გადააგორა** ფალავანი და **გამოიჭრა** წრიდან (წერეთელი 1989:150).

ახალგაზრდა უცებ გაექანა შურდულივით;
ახალგაზრდა შეუვარდა ფეხებში;
ახალგაზრდამ გამოჰკრა ორივე ხელი;
ახალგაზრდამ ჯირკივით გადააგორა ფალავანი;
ახალგაზრდა გამოიჭრა წრიდან.

სტუდენტს სათანადო მაგალითებზე დაყრდნობით მიეცემა განმარტება, რომ მათ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სინტაქსური კონსტრუქცია აქვს, ისინი თავისი ფუნქციით პრედიკატული ცენტრებია. ერთმანეთს უკავშირდებიან თანწყობით და ქმნიან პარატაქსულ კონსტრუქციას.

ამრიგად, წინადადების სტრუქტურა შესწავლილად ჩაითვლება, თუ სტუდენტი შეძლებს მონოპრედიკატული და პოლიპრედიკატული კონსტრუქციის წინადადების ერთმანეთისგან გამიჯვნას, პარატაქსული და ჰიპოტაქსური კონსტრუქციის წინადადების განსხვავებას, პარატაქსულ კონსტრუქციაში საერთო მისამართი წევრის მოძიებასა და პრედიკატული ცენტრების გამოყოფას.

საკვანძო სიტყვები: პოლიპრედიკატული წინადადება, შემასმენელი. მონოპრედიკატული წინადადება

ლიტერატურა:

1. დავითიანი აკ. (1973): ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.
2. ენუქიძე ლ. (1987): ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
3. თალაკვაძე მ. (1975): ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.
4. კვაჭაძე ლ. (1996): თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „რუბიკონი“, თბილისი.
5. ჩიქობავა არნ. (1968): მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, ქვემდებარე – დამატების საკითხი ძვ. ქართულში, მასალები მეთოდოლოგიური იმანენტიზმისათვის, II გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
6. ჭიკაძე რ. (1995): წინადაადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

საანალიზო წყარო:

1. ვაჟა-ფშაველა (1964): თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტომი V, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი.
2. წერეთელი ა. (1989): რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი III, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი.
3. ჭავჭავაძე ი. (1985): თხზულებანი, ლექსები, პოემები, მოთხრობები, წერილები, ტომი IV, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.

Elene Pilashvili

I.Gogebashvili Telavi State University

Telavi, Georgia

E-mail: elene.pilashvili@tesau.edu.ge

https://doi.org/10.52340/lac.2026.11.40

For the Study of Some Syntactic Construction in Georgian

Abstract

The article “For the Study of Some Syntactic Constructions in Georgian” discusses the study of “monotactical” and “paratactical” constructions in higher education institutions. In a monotactical construction, we combine simple and monosyllabic sentences (except for compound sentences with homogeneous subjects), while in a paratactical construction, we combine compound and complex compound sentences with homogeneous subjects.

When learning about the nature of predicate constructions, it is especially important to clarify the concepts of "monopredicate" and "polypredicate." Appropriate examples should be contrasted with each other and the propositions of these two constructions should be studied by comparison.

The student should be explained that homogeneously compound and complex compound sentences have much in common structurally. Both types of sentences use connecting conjunctions, and at the same time the sequence patterns of the sentences are identical taking into account the conjunctions. The components of such sentences have a common, shared word (address member), which is repeated or is implied as the same or different members. Based on appropriate examples, the student should be able to explain the function of the address member and determine the

relationships of compound and complex sentences based on the relationship of address members and verb-listeners.

The article also discusses the separation of predicate centers, which have a syntactic construction independent of each other, are connected to each other by coordination and form a parataxis construction.

Explain to the student that a sentence should be divided according to its structure as follows and indicate the sentence structure scheme established in the special literature:

"I. Monopredicate: monotactical or quantitative;

II. Polypredicate: a) paratactical or co-ordinate;

b) hypotactical or subordinate.

Sentence structure will be considered learned if the student is able to distinguish between monopredicate and polypredicate constructions, distinguish between parataxis and hypotaxis constructions, find a common address member in a parataxis construction, and identify predicate centers.

საკვანძო სიტყვები: Monopredicate sentence, Polypredicate sentence, predicate